თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8122564

ნომერი: AR11164295

თარიღი : 07.10.2026

გაცემის თარიღი : 15.10.2026

გაცნობის თარიღი : 19.10.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვიქტორ კუპრაძე , N 72 , კორპუსი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა დანელიშვილი პ/ნ 13001027041
- გურჯაანი თამარ მეფის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 07 ოქტომბერს №AR11164295 განცხადებით მომართა ბექა დანელიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 19

აგვისტოს №854895 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი №8) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2014 წლის 07 ივლისის №1351964 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 6637.7 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 749.6 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 6637.7 კვ.მ-ის ნაცვლად 6642.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 749.6 კვ.მ-ის ნაცვლად 754.6 კვ.მ-ის დაფისირებას.

განმცხადებელი, ასევე, განმარტავს, რომ პირველი სართულის მიწისქვეშა გეგმაზე დატანილი იქნა სარდაფების კვადრატულობები და ნუმერაცია.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, წარმოდგენილი პირველი სართულის მიწისქვეშა გეგმა არ იცვლება, აღნიშნულ გეგმაზე ხდება მხოლოდ სარდაფის ფართობების და ნუმერაციის დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6642.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 754.6 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის მიწისქვეშა გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.

3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854895 და 2014 წლის 07 ივლისის №1351964 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7)